№4(280), ივნისი, 2033 წ · პარასკევის გამოშვება · ფასი 20 თეთრი

# ფანტაზია

საკროსვორდო-შემეცნებითი გაზეთი



ჩვენი გაზეთი კვლავ განაგრძობს არსებობას და ინარჩუნებს იმ სახეს, რაც შვიდი წლის განმავლობაში ჩამოუყალიბდა.

...კვლავ გთავაზობთ ნაცნობ რუბრიკებს:

## რეიტინგი
## მალულა
## ფანტაზიორი
## აფორიზმები

განვაგრძობთ რუბრიკას ინგლისური ენის შემსწავლელთათვის და ამჯერად გთავაზობთ შექსპირის

## 65-ე სონეტს

პიკასოს სატრფიალო თავგადასავალი

## ამბავი ერთი სიყვარულისა

გაგრძელებებით



**ყურადღება!!! ყურადღება!!!ყურადღება!!!**

### იტალიური კროსვორდები ამიერიდან გამოვა შაბათს და არა პარასკევს

1. სხვისი საქმის შეფასება. 2. რა გვარია პირველი გვერდის ქალი? 3. დრაიზერის რომანის ქალი. 4. რა ჰქვია პირველი გვერდის ქალის მამას? 5. რა სჭირდება ბრმა ნაწლავს? 6. მდინარე გერმანიაში. 7. უწყებრივი ორგანიზაცია. 8. თავისი საქმის ძალიან კარგად მცოდნე. 9. პირველი ბოლშევიკური გაზეთი. 10. ხიდის საყრდენი. 11. შალვა დადიანის გიორგი. 12. დიდოსტატი ანუ? 13. სოფელი თიანეთის რაიონში. 14. 80-იანი წწ ბრაზილიელი ფეხბურთელი. 15. არც აქ, არც იქ. 16. კოსმიური წარმონაქმნების მოსახსენიებელი სხვა სიტყვა. 17. ცნობილი ფრანგი კინორეჟისორი. 18. „ბუბლიკი" - ქართულად 19. პირველი გვერდის ქალის თანამემამულე კოლეგა. მშვენიერი სტეფანია... 20. ამა თუ იმ საქმიანობის ცალკეული დროითი ნაწილი. 21. წიქარას და მისი პატრონის მტრის ზოგადი სახელი. 22. ზოგჯერ სტრუქტურის წინაა. 23. პირველი გვერდის ქალის დედის სახელი. 24. პირველი გვერდის ქალმა ოდისევსის შესახებ შექმნილ ფილმში სწორედ ეს ქალღმერთი განასახიერა. 25. საგანგებო დავალებით წარგზავნილი პირი. 27. ფიგაროსთან დაკავშირებული ქალაქი. 28. ერთ-ერთი ყველაზე ერთგული პერსონაჟი ქართული ლიტერატურისა. 29. უკეთური სიტყვების მოყვარული და აქტიურად მომხმარებელი კაცი. 30. სწორედ ეს შეიძლება მოიკიდოს ძველმა ღვინომ. 31. ფრინველთა მეფის ნაშიერი. 32. კომპიუტერული პროცესორების მწარმოებელი ფირმა. 33. ქალაქი რუმინეთში. 34. სადაცაა შემოვა და ჩვენს სუფრას დაამშვენებს (უნიგვზოდაც კი). 35. სწორედ ასეთი შეიძლება და უნდა იყოს რიყის ქვა. 36. გოჭიკ კი შეიძლება შეიწვას მასში. 37. ურარტუს ყველაზე ცნობილი მეფე. 38. ყველასათვის ცნობილი მალვინას ძაღლი. 39. საბჭოთა ეპოქის უძლიერესი ძალოსანი უკრაინის ქალაქი შახტიდან. 40. ედგარ პოს მოთხრობა.

**ავღადგინოთ საკროსვორდო ჩემპიონატი**

# «ფანტაზიის» ახალი სიცოცხლე

...ძალზედ ძნელია, საგაზეთო არენაზე დაბრუნება ხუთთვიანი „შესვენების“ შემდეგ, მაგრამ ჩვენ მაინც ვბედავთ ამას და ეს უფრო იმ ადამიანების დამსახურებაა, როლებმაც არ დაიჯერეს ის, რომ გაზეთი „ფანტაზია“ სამუდამოდ გაუქმდა და არ წყვეტდნენ ჩვენთან კავშირს ერთადერთი (რიტორიკული) კითხვით:

– როდის გამოვაო „ფანტაზია“?

ჩვენმა შვიდწლიანმა პრაქტიკამ ბევრი რამ გვასწავლა და სწორედ ეს გვაძლევს იმის უფლებას, რომ „ფანტაზია“ დავუბრუნოთ თავის ერთგულ მკითხველს. ბევრი ვიფიქრეთ, თუ როგორი განახლებული სახე მიგვეცა გაზეთისათვის, მაგრამ საბოლოოდ ის აზრი შევინარჩუნეთ, რომ სჯობს ძველი რუბრიკებისა და დიზაინის გაგრძელება (მრავალი მიზეზისა გამო)!

ერთი რამ კი ცხადია – „ფანტაზიიდან“ გავიდნენ და დამოუკიდებელი არსებობა მოიპოვეს ისეთმა ცნებებმა, როგორიცაა სკანდინავიური კროსვორდი, იტალიური კროსვორდო, მსახიობთა ბიოგრაფიის თემა; ასე რომ, დარჩა მთავარი და ერთადერთი, რისთვისაც შეიქმნა ეს გაზეთი, ანუ

## კლასიკური კროსვორდი

და სწორედ ამგვარი კროსვორდების მოყვარულთათვის იარსებებს ამიერიდან „ფანტაზია“. რა თქმა უნდა, იქნება თითოოროლა სხვა სახის კროსვორდიც.

მაშ, განვაგრძოთ!

# ჩეიტინში

**ერთი სწორი პასუხი ერთი ქულაა**

**პასუხები იხილეთ მე–11 გვერდზე**





1. რა ჰქვია ისრების ჩასაწყობ ყუთს? 2. გადამეტებული რწმენის გამო თვითგვემას მიჩვეული სუბიექტი. 3. ქართული ალკოჰოლური სასმელის შესანახი „დანადგარი-მოწყობილობა“. 4. მომავალი თაობის მოვლინებასთან მჭიდროდ დაკავშირებული სპეციალისტი. 5. შეთანხმების არაჩვენებური სახესხვაობა. 6. იხილეთ **ქვედა ქალი**. 7. რიგით XIII ჩემპიონი (სპორტის სახეობა ძნელი გამოსაცნობი არ არის). 8. ტატოს ერთადერთი პოემის საწყისი (წოდებითბრუნვიანი) სიტყვა. 9. ქმედებათა მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მტკიცებულება. 10. თხელი ზედაპირის შესაბამისი ქართული სიტყვა. 11. მაგარი პროდუქტის ჭამის აკუსტიკური მხარის გამომხატველი ერთ-ერთი სიტყვა. 12. ზოგიერთი მცენარის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო ჯოხი. 13. იყო ასეთი ბულგარული სიგარეტი (შესაძლოა, ახლაც არის). 14. რა გველის ამ ზაფხულს თბილისში? 15. რუსული ბალეტის ფრანგი მამამთავარი. 16. სხვა ტერიტორიაზე უკეთური მიზნებით შეჭრილი სუბიექტი. 17. სახვითი ხელოვნების დარგი. 18. თანამედროვე ქართული ჟურნალი. 19. მთებში მობინადრე პირუტყვის სახესხვაობა. 20. მომავალი თაობის ხელოვნური მოვლინებისათვის საჭირო დაწესებულება. 21. თავად თარგმნეთ და თავადვე გაეცით პასუხი – выбухание ограниченного участка истонченной стенки сердца, обычно после инфаркта. 22. დადებით იდეას ხშირად ასეთი ეპითეტი ახლავს ხოლმე. 23. კორეის ფულის ერთეული. 24. კაცობრიობის ისტორიის ყველაზე მდუმარე სუბიექტი. 25. მარადიული სიჭაბუკის შენარჩუნების მსურველი ლიტერატურული პერსონაჟი. 26. პირენეების უმაღლესი მწვერვალი. 27. ის, რასაც ეპითეტი „ახალი“ აუცილებლად სჭირდებოდა კომუნისტობისას. 28. იხილეთ **ზედა ქალი**. 29. ნინელიმ ეს სიტყვა, ალბათ, ყველაზე ბევრჯერ თქვა ამ ბოლო დროს. 30. დაწესებული ღირებულება. 31. **NBA**-ს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მოთამაშე. 32. ჭადრაკის ფიგურა „კუც“ და „ეპისკოპოსიც“ – ინგლისურად. 33. რუსთველის ლექსიკისეული ძვირფასი ქვა. 34. სოფელი მცხეთის რაიონში. 35. „ბალახი ვარ მთის“ - რას ათქმევინა ეს გენიალურმა ვაჟამ? 36. ყველა ავტომოყვარულისათვის ცნობილი ინგლისური სიტყვა. 37. „ვიწროთვალებიანის“ მოსახსენიებელი ჟარგონული სიტყვა. 38. ზოდიაქოს ნიშანი. 39. ჩვენი მსახიობი... ცირკთან დიდ სიახლოვეში მყოფი. 40. მარინე გიორგის ასული ფერაძისათვის „კარგად ნაცნობი“ მეცნიერი.



**ქალი და „ფანტაზია“, მოგეხსენებათ ორი მეტად დაახლოებული ცნება იყო და, ალბათ, ასეც იქნება... ამიტომაც ვაპირებთ ასეთი ხანგრძლივი რუბრიკის შემოღებას – „კაცობრიობის ცნობილი ქალები“**

მოგეხსენებათ, ჩვენ ოთხი წლის განმავლობაში ვაქვეყნებით ე.წ. „უნივერსალურ ენციკლოპედიას“ და შევჩერდით ასო დონ-ის ნახევარზე. შარშან შემოდგომაზე ამ მასალის წიგნად გამოცემაც დავაპირეთ, მაგრამ მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაგვარწმუნა, რომ ზოგადად წიგნის გამოცემა დღეს საქართველოში დიდ რისკთანაა დაკავშირებული, რადგან წიგნს დღეს ნაკლებად ჰყავს მყიდველი, ასე რომ, ე.წ. „სპონსორებისა“ და გულშემატკივრების გარეშე ამგვარი დიდი ნაშრომის (250 დიდი ფორმატის გვერდი) გამოცემა ჩვენ არ შეგვიძლია. ასე რომ გეკითხებით: გავაგრძელოთ ენციკლოპედიის ბეჭდვა გაზეთში?

### დავითვალოთ:

1-10 ქულა – დამწყები კროსვორდის მოყვარულის შედეგი. (მეორე თანრიგი)

11-20 ქულა – კროსვორდთან მჭიდროდ დაახლოების მოსურნე ადამიანის მონაცემი. (პირველი თანრიგი).

21-30 ქულა – კროსვორდთან გაშინაურებული პიროვნების რეზულტატი (ოსტატი).

31-38 ქულა – „ფანტაზიის“ ძველი და ერთგული შემვსების ქმედება (დიდოსტატი).

39 ქულა – ბრავო, მაესტრო.

40 ქულა – პასუხებში ნუ იყურები!

1. სიცივით გათოშილი და გასაცოდავებული ანუ როგორი? 2. აღმოსავლეთმცოდნეები ასე ხუმრობენ – „სინდისი“ სპარსული სიტყვაა, „ნამუსი“ – არაბული... ქართველებს არც სინდისი გვაქვს და არც ნამუსიო... არსებობს კიდევ სიტყვა „იხტიბარი“... კიდევ? 3. აფრიკის სახელმწიფო. 4. თანამედროვე ფანტასტიური ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომდგენელი პოლონეთიდან. 5. საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე. 6. **იხილეთ ფოტო**.



7. ვინ „იმალება“ კროსვორდის მარჯვენა ნახევრის უკან?

8. თანამედროვერე სამხრეთამერიკელი მომღერალი ქალი. 9. „ვიღაცის, მავანის“ მოსახსენიებელი ჟარგონული სიტყვა. 10. იყო ასეთი იუმორისტული გადაცემა საქართველოს ტელევიზიაში. 11. ბუდისტთა შორის აღიარებული პირის ტიტული. 12. ხილის წვენისაგან დამზადებული ტკბილეული. 13. ერთი ცნობილი ამერიკელი მწერალი ქალის გვარის ნაწილი.

14. ვინ „იმალება“ კროსვორდის მარცხენა ნახევრის უკან?.

15. საგანგებო სიტუაციებში მომუშავე სპეციალსტის სამოსი-აღჭურვილობა. 16. სხვისი სიკეთის დაუფლების მსურველის ერთ-ერთი ტიპიური სახესხვაობა. 17. **იხილეთ ილუსტრაცია მარჯვნივ** – თქვენი აზრით, ვინაა ამ

## „მალულა“-ინტერნეიშელი წარმოგიდგენთ მორიგ პროექტს




ნახატის ავტორი. 18. ძალიან დიდი ანუ როგორი? 19. არსებობს ასეთი ტიპის ჩემოდანი... როგორი? 20. საბჭოთა ეპოქის ებრაული წარმოშობის კინორეჟისორი, სსრკ სახალხო არტისტი («Дело Артамоновых», «Мусоргский», «Хождение по мукам».). 21. მიქელანჯელო ბუონაროტის სკულპტურული ქმნილება. 22. საბჭოთა ეპოქის ებრაული წარმოშობის თეატრალური რეჟისორი. 23. ის, რასაც ძლივს შეიძლება მიუსწრო... ჩვენს მეტყველებაში. 24. ლაიზა მინელის დედა, ჰოლივუდის ძველი ვარსკვლავი. 25. ჯეკ ლონდონის მოთხრობა.

**26. მაღაზია თბილისში, სადაც ქვემოთ მოტანილი ბროშურები იყიდება.**

27. სამხრეთამერიკული (ბრაზილიური) წარმოშობის საკარნავალო ცეკვა. 28. ქართული მხატვრული ფილმი ტატო კოტეტიშვილის რეჟისორობით. 29. უკანასკნელი წლების მაღალჩინოსანი ქართველი პოლიტიკურ-სამეურნეო მოღვაწე. 30. ქალაქი შვედეთის („შვეცია“ არასწორია) აღმოსავლეთ ნაწილში. 31. ასეთი დაჯგუფებებიც არსებობს თურმე ჩვენს სინამდვილეში. 32. არარეალური, ლეგენდარული ამბავი. 33. დაჭყივლება-დაშინების ჩვენებური სიტყვა. 34. იტალიის საფეხბურთო კლუბი. 35. თურქული ტომების შთამომავალთა მოსახსენიებელი ერთ-ერთი სიტყვა. 36. ერთ-ერთი ყველაზე ფართო საძიებო სისტემა ინტერნეტში (დღეს მის გარეშე არსებობა წარმოუდგენელი). 37. კარგი წინაპრების შთამომავლის მოსახსენიებელი სიტყვა. 38. ნაწარმოები, რომელმაც აჩრდილის დევნაში ნახევარი მსოფლიო დაჩრდილა (თუმცა ამას მომავალი შეაფასებს!).

*საკროსვორდო არენაზე თქვენთვის მოღვაწეობდა*
*თავად რედაქტორი*



„რეკლამათმცოდნეებმა“ კარგად იციან, რომ სარეკლამო ერთეული გაუზრებელი ოდენობით უნდა შესთავაზო პოტენციურ მომხმარებელს.

ამიტომაც (სამშაბათის ნომრებს თუ გავითვალისწინებთ) მესამედ თუ მეოთხედ მოგახსენებთ, რომ ჩვენ დავიწყეთ „ერთი მსახიობის ბიოგრაფიის“ სერიის გამოცემა.

„ფანტაზიაში“ ამ რეკლამას პირველად ვათავსებთ და აღარ გავიმეორებთ! – განა მართლა ვიზიარებთ „რეკლამათმცოდნეობის“ მოძღვრებებს.

ბავშვობაში ერთი მეგობარი მყავდა, რომელიც არქიტექტორობას აპირებდა. ერთხელ მან ბავშვის ნახატი მოიტანა სკოლაში და მითხრა:

„ეს ჩემი მომავალი შვილის პროექტიაო“.

როგორც ჩანს, მას მაშინ პირველად ჰქონდა გაგონილი სიტყვა „პროექტი“ და მის სასწრაფო რეალიზებას შეეცადა ჩემი, როგორც საექსპერიმენტო ერთეულის, სახით.

მართალი გითხრათ, მაშინ მეც პირველად გავიგე ეს სიტყვა. მის შემდეგ კი მხოლოდ არქიტექტურულ თუ მასთან დაკავშირებულ გარემოში მესმოდა ის იმ მნიშვნელობით, რომ „პროექტი“ მომავალში რაღაცის განხორციელებას გულისხმობდა.

ჩავხედოთ რუსულენოვან „უცხო სიტყვათა ლექსიკონს“ (ქართული ლექსიკონები მისი ანალოგიაა). იქ წერია – 1. Разработанный план сооружения, устройства чего-нибудь. 2. Предварительный текст какого-нибудь документа.

ყველაფერი გასაგებია! გაუგებარია მხოლოდ ის, თუ რატომ იყენებენ ამ სიტყვას ჩვენს ირგვლივ არსებულ სინამდვილეში ისეთი მოვლენების მიმართ, რომელიც უკვე განხორციელდა, დამთავრდა და მისი განმეორება არ არის მოსალოდნელი?!

ერთი სიტყვით, ასეთი აზროვნება და მეტყველება – „ჩატარდა პროექტი, გაიმართა პროექტი“ და მისთანები ისეთივე უაზრობად გვეჩვენება, რომ თქვა „მიმდინარეობს იდეა“, „დასრულდა იდეა“ და ასე შემდეგ.

...დანარჩენი თავად მოისმინეთ ჩვენს ტელევიზიებში!












# ილუსტრირებული

## საკონკურსო კროსვორდი



გთავაზობთ 27 ვიზუალურ ელემენტს შესაბამისი კომენტარის თანხლებით და გთხოვთ შეავსოთ კროსვორდი. ორი ტურის ჯამში გამოვლინდება გამარჯვებული და ჩვენგან მიიღებს სამახსოვრო საჩუქარს, მეორე ადგილის მფლობელს გადაეცემა ჩვენს მიერ გამოცემული ოთხივე ბუკლეტი - „ერთი მსახიობის ბიოგრაფიის“ სერიით.
დარეკეთ კვირას, 16.00-18.00.ტელეფონი 76-68 02


1


2 სახელი


3 როლი


4


5


6 სფერო


8 სახელმწიფო


7 ავტორი


9 სახელი


11


10


12


13


14 როგორი სახე აქვს?


15


16


18


17


19 qa l aqi


20


21 ევროპა


22


23 სახელი



24 ....ებერგი


25


26


27

# ფიქრები «ინტელექტუალური პაექრობის» შესახებ

## რაც შეეხება ჩემპიონატს

...რაკიღა განახლდა „ფანტაზიის“ გამოცემა, ბუნებრივად დგება საკითხი საკროსვორდო ჩემპიონატის აღდგენის შესახებაც, რადგან ჩვენ თითქმის უკვე ვეღარ წარმოგვიდგენია „ფანტაზია“ იმ ფენომენის გარეშე, რასაც (*ეპოქის შესაბამისად რომ ვთქვათ*) „ინტელექტუალური პაექრობა“ ეწოდება. მართალი რომ გითხრათ, ჩვენ ძალზედ განსხვავებული აზრი გვაქვს ხსენებული „ინტელექტუალური“ შერკინებების შესახებ, რასაც სხვა დროს მოგახსენებთ, მაგრამ ეს არ არის მთავარი – მთავარი ის გახლავთ, რომ საკროსვორდო ტურნირი უნდა აღდგეს!

ჩვენთან მოვიდა ინფორმაცია, რომ ამასწინათ „ფანტაზიის“ ყოფილი უმაღლესლიგელები შეიკრიბნენ და (*კარგი გაგებით რომ ვთქვათ*) „საიდუმლო სერობა“ გამართეს მრავალი საკითხის განხილვით, რომელთა შორის იყო ერთი მთავარიც – როგორ აღდგეს ჩემპიონატი და საიდან გამოიძებნოს საპრიზო ფონდისათვის საჭირო თანხა. მათ დაუსახავთ კონკრეტული მიზნებიც! ძალიან კარგი!

ოღონდ!

ჩვენ მაინც იმის მომხრენი ვართ, რომ ე.წ. „ინტელექტუალური თამაშები“ ყოველგვარი პრიზების გარეშე უნდა იმართებოდეს და გამარჯვებულთათვის დაწესებული იყოს სამახსოვრო და სიმბოლური საჩუქრები.

* * *

ერთი სიტყვით, ჩვენ აღარ გვსურს ისეთ „ინტელექტუალურ კამპანიაში“ მონაწილეობა, რაც დღეს ჩვენს ირგვლივ ნაირგვარ ტელევიზიებშია გამეფებული და ყველანაირად ვეცდებით საკროსვორდო ჩემპიონატი აღვადგინოთ მათთვის, ვისაც მარადიული ქართული ქინი აწუხებს –

„ბიჭი ვარ და მოვდივარ და
ბიჭი ხარ და დამიდექიო!“

* * *

საკროსვორდო ჩემპიონატს, ალბათ, შემოდგომაზე აღვადგენთ და ვეცდებით მუდმივ საინტერესო ტურნირად ვაქციოთ, თუ, რა თქმა უნდა, თქვენი მხარდაჭერაც იქნება.

*(იმედით, გახსოვართ)*
*ალ.ელერდაშვილი*

**თარაზულად:** 1. ქალაქი რუსეთში შორეულ აღმოსავლეთში, წყნარი ოკენეანისპირა პორტი. 6. ფოტოეფექტის მოვლენის გამომკვლეველი რუსი ფიზიკოსი. 12. მცირეტირაჟიანი გამოცემების დასაბეჭდი სასტამბო მოწყობილობა. 13. ცნობილი ფერწერული ტილოების, ,,ათენის სკოლის“ და ,,სიქსტეს მადონას“ შემქმნელი. 14. სამკაცა ანსამბლი. 17. ტყიური ნადირი. 18. ზღვის დიდი ფრინველი შარლ ბოდლერმა პოეტს რომ შეადარა. 19. იოჰან ვოლფგანგ გოეთეს უკვადვი ქმნილება. 22. მიწისძვრისაგან დაზარალებული სომხეთის ქალაქი. 23. ჩვენი მოჭადრაკეც და დიდი სარდლის სახელობის ქალაქიც. 27. ყველაზე მძიმე ტუტე მეტალი ქიმიური ელემენტების მენდელეევის პერიოდულ სისტემაში. 28. მარკუს ანტონიუსისა და იულიუს კეისრის გულებისა და საწოლის დამპყრობი ქალბატონი. 32. მსუბუქი იტალიური ავტომობილი. 33. მოღალატე თავადი აკაკი წერეთლის ,,ბაში-აჩუკიდან“. 34. შიგაწვის ძრავის ნაწილი. 37. ქალაქი გერმანიაში, ჰესენის მიწაზე და მდინარე მაინზე. 38. ძველი რომაელი იმპერატორი ანტონინუსების დინასტიიდან. 39. XX ს ამერიკელი დრამატურგი, ავტორი გახმაურებული პიესისა ,,ვის ეშინია ვირჯინია ვულფის?“. 42. ერთი ნივთის მეორეზე ბრახუნით გამოცემული ხმა. 43. რაფაელ საბატინის რომანი. 44. კლდეში ნაკვეთი ჩვენი ქალაქი. 47. პიროვნება, რომელიც საკუთარ თავს სწირავს სხვათა გადასარჩენად. 48. ყველაზე სრულყოფილი გეომეტრიული სხეული. 49. მემარცხენე, ანუ ვინ? 54. ქალაქი, რომელიც პომპეისთან ერთად გაანადგურა ვეზუვიმ ამოფრქვევისას. 55. არც თუ ისე დიდი ზომის საფოსტო გზავნილი. 59. ჩვენი კინოკავკასიური ნაგაზი. 60. ლერმონტოვის შემოქმედებაში ვაჭარი, საბჭოთა შეიარაღებაში კი ავტომატის შემქმნელი. 61. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში შურისძიების ქალღმერთი - ერინია - სულ სამი იყო: ტისიფონე, მეგერა და... რა ერქვა მესამეს? 64. წყალქვეშა სიღრმეების საკვლევი აპარატი. 65. ახალდაბადებული ბატკნის ხუჭუჭბეწვიანი ბეწვი. 66. დაუმორჩილებელი პირის მოსახსენიებელი სიტყვა. 69. კატის ნაშიერი. 70. ნახნავი, ანუ რა? 71. ნივთიერება, რომლის სიჭარბის გამოც მცენარეები მწვანე ფერია. 75. სატელეფონო ხაზების ერთობლიობა. 76. თავაშვებული ღრეობა. 77. სისხლისაღრევა სამედიცინო ენაზე. 82. ავტორი ცნობილი ფერწერული ტილოებისა ,,უძღები შვილის დაბრუნება“ და ,,დანაე“. 83. დიდტანიანი ლიტერატურული ნაწარმოებების ავტორი. 86. ცხენისათვის საჭირო აღჭურვილობა, ზოგიერთი ცრუმორწმუნეს კარიბჭეს რომ ამშვენებს. 87. ყოველთვიური სისხლდენა ქალებში. 88. რა მეტსახელით შევიდა ისტორიაში კიევის დიდი მთავარი იაროსლავი? 89. ობიექტური რეალობა, რომელიც არსებობს ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. 90. ზღვის პეიზაჟების მხატვარი. 91. ურმის ძირითადი, ზედა ნაწილი.

**შვეულად:** 1. მცენარე, რომლის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი გალაკტიონმა უკვადვყო ლექსში. 2. რა ცხოველია გნუ? 3. ვინ იყო ნერონი? 4. სოფელი ახმეტის რაიონში. 5. წიგნის პირველი გვერდი. 7. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ისტორიული პროვინცია. 8. მილა იოვოვიჩის კინოროლი ლუკ ბესონის ფილმში ,,მეხუთე ელემენტი“. 9. ,,შხამი“ - ლათინურად, ანუ ის რაც კომპიუტერის ,,შიგნეულს“ აზიანებს. 10. საგანგებოდ დაგრეხილი ბამბის ჩვარი, ნავთქურაში ან ლამპაში რომ დებენ. 11. ბიბლიური დავითის მიერ დამარცხებული სუბიექტი. 15. ლეგენდარული რუსი ჰოკეისტი. 16. შელამაზებული ნათქვამის სახესხვაობა. 20. ანდების მთათა სისტემის უმაღლესი მწვერვალი. 21. ქალაქი სამხრეთ-დასავლეთ კანადაში. 24. რაიმე კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი. 25. პედაგოგიკის დარგი, სწავლებისა და განათლების თეორია. 26. კაცი, რომელმაც თუთიყუში მარჩელო გაგვაცნო. 29. თანამედროვე ამერიკელი მწერალი, ავტორი რომანისა ,,კენტავრი“. 30. ნოვგოროდის დიდი მთავარი, რუსეთის გამქრისტიანებელი. 31. წარსულის გავრცელებული სატრანსპორტო საშუალება. 35. საქონლის წარმოების, გაცვლის და განაწილების ერთობლიობით დაინტერესებული სფერო საზოგადოებრივი ურთიერთობებისა. 36. კაცი-ტაქსი აზიის ქვეყნებში. 40. რა შეიძლება ეწოდოს უაზროდ წერის მოყვარულ ადამიანს? 41. ყველაზე ცნობილი ნამუსახდილი ცოლი ქართულ ლიტერატურაში. 45. დამუშავებული ალმასი. 46. არქიტექტორი, შემქმნელი ნაგებობებისა, რომლითაც ახლა ქალაქი ბარსელონა თავს იწონებს ტურისტების წინაშე. 50. ,,ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი. 51. მუსიკალური ტემპთაგანი. 52. ყვავილების მოსათავსებელი ჭურჭელი. 53. რა ეწოდება ყველა იმ სითხეს, რომელთაც ელექტრული დენის გატარების უნარი შესწევს?. 56. ჰავაის შტატის ადგილობრივი აბორიგენული სახელწოდება. 57. ფრინველთა ექსკრემენტი. 58. ,,თეთრი ბაირაღების“ პერსონაჟი. 62. XX ს არგენტინელი მწერალი, ხულიო... 63. ლეონარდო და ვინჩისა და მიქელანჯელო ბუონაროტის მშობლიური ქალაქი. 67. რა ერქვა ქალს, რომელმაც 8 მარტის დღესასწაული დააწესა? 68. ადოლფ ჰიტლერის სამხედრო წოდება. 72. ფრანგულ ლიტერატურაში ხოტბაშესხმული ტყავი. 73. ადგილის გეგმის დასახაზი ქაღალდი რომაა დამაგრებული, იმ ფიცარს რა ჰქვია? 74. ჩვენი ექსთავდაცვის მინისტრი. 78. ფერადი სამოზაიკე მინა. 79. ლიფტის გამომგონებელი ამერიკელი, ელიშა გრეივზ... 80. სურვილის კიდევ ერთი სინონიმი გაიხსენეთ. 81. რა ერქვა ქალს, ბილ კლინტონს კინაღამ პოსტი რომ დაატოვებინა? 84. ორმოცდაშვიდსტრუნიანი მუსიკალური ინსტრუმენტი. 85. რა ჰქვია გვადი ბიგვას ძაღლს?



**შეადგინა ვახო ელერდაშვილმა**

ფანტაზიელები ირაკლი ნაზღაიძეს იცნობენ, როგორც სკანდინავიური კროსვორდების შემდგენელს, ამჯერად გთავაზობთ მის კლასიკურ სიმეტრიულ კროსვორდს


1


2


3



### შვეულად:

1. სინათლის ძალის საზომი ერთეული **SI** სისტემაში. 2. ავსტრალიის დედაქალაქი. 3. ამერიკული ავტომობილის მარკა. 4. ყავის სახეობა. 5. თოვლზე სასრიალო საზიდარი, რომელსაც თვლების ნაცვლად აქვს კავები. 6. მედიცინის ერთ-ერთი დარგი. 7. პოლონეთის ისტორიული ოლქი. 8. დესპოტიზმზე დაფუძნებული მმართველობა. 9. მღვდლის სამოსი. 10. მუდმივი წნევის ამსახველი წირი. 19. ეკლიანი სარეველა ბალახი. 20. ჯვაროსანთა ოჯახის წარმომადგენელი, ორწლოვანი ბოსტნეული მცენარე. 21. ლითონისგან დამზადებული, ძაფის ან თოკის მსგავსი ნაწარმი. 23. მდინარე კონგოს ზედა დინება. 24. *იხილეთ ფოტო №3* - ფრანგი დრამატურგი, პიერ ოგიუსტენ ........ (1732-1799). 25. დიდი საზიზღარი ურჩხული. 30. საზოგადოებრივ საქმიანობაში მიღწეული მდგომარეობა. 31. ძველებური ფრანგული ოქროს მონეტა, რომელსაც სახელი ლუდოვიკო XIII-ს საპატივსაცემოდ დაერქვა. 32. თიხის გამომწვარი ფირფიტა, რომელსაც იყენებენ შენობის გადასახურად. 33. უმაღლესი ღვთაება ზოროასტრიზმში. 34. ნუშის ლიქიორი. 35. საზღვაო კურორტი მეზობელ თურქეთში. 36. სამხედრო შენაერთი. 37. ბალნეოლოგიური კურორტი რუსეთში, ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქი. 38. ქორდიანთა ტიპის უმარტივესი წარმომადგენელი. 39. იაპონელი მწერალი, ტაკეო ........ (1878-1923).

### თარაზულად:

1. ავსტრიელი ფერმწერი, ექსპრესიონისტი, ოსკარ ........ (1886-1980). 7. ბამბის თეთრი ქსოვილი. 11. მრავალკიდურა ზღვის არსება. 12. ქალაქი ძველ ასურეთში. 13. იგივეა რაც დიდი ბუ. 14. კურორტი დასავლეთ საქართველოში. 15. თვითმფრინავის ფრთის მოძრავი ნაწილი. 16. იტალიელი ფეხბურთელი. 17. გამოჩენილი რუსი მეცნიერი, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი 1961-1975 წლებში. 18. ეკლესიიდან განდევნა. 22. შტატი აშშ-ს სამხრეთ ნაწილში, ადმინისტრაციული ცენტრი - მონტგომერი. 26. *იხილეთ ფოტო №1* - დიდი რუსი მეიგავე, ივან ........ (1769-1844). 27. ჟორჟ ბიზეს განთქმული ბოშა ქალი. 28. ნიკარაგუას დედაქალაქი. 29. ბელგიელი მხატვარი, სიურრეალისტი, რენე ........ (1898-1967). 30. მცირე აზიის ისტორიული ოლქი. 36. *იხილეთ ფოტო №2* - საბჭოთა კინორეჟისორი, კომედიოგრაფი. 40. შეკეთების პროცესი. 41. აშშ-ს ექსპრეზიდენტი, რომელიც ხალხმა პრეზიდენტობამდე დიდი ხნით ადრე გაიცნო კინოეკრანებიდან. 42. ბულგაკოვისეული „ოსტატი და მარგარიტას“ არც მთლად მეორეხარისხოვანი პერსონაჟი. 43. გაიხსენეთ ძველი ქართული კალენდარი და აქ ერთ-ერთი თვის სახელწოდება ჩაწერეთ. 44. სქესობრივ ლტოლვასთან და სიყვარულთან დაკავშირებული ცნება. 45. ცნობილი რუსი კუტურიე. 46. აზოტოვანი მჟავის მარილი. 47. უფერული სითხე, მისი ქიმიური ფორმულაა - $C_6H_5NH_2$ 48. აღმოსავლური ზღაპრის გმირი.

### ერთი სიტყვის კროსვორდი



1. კანონიერებაზე დაფუძნებული ანუ როგორი (სახელმწიფო)? 2. საქართველოს დედოფალი XI საუკუნეში. 3. სისხლნაკლებობა. 4. რა სიტყვაა ჩაშიფრული კროსვორდში (ამოცნობაში ქალის ფოტო დაგეხმარებათ). 5. ატომური დანადგარი. 6. ფიროსმანის როლის შემსრულებელი ფილმში. 7. წმინდანს ადგას თავზე. 8. ქალაქის მმართველობის ორგანო. 9. ცნობილი რუსი მსახიობი, ილია მურომეცის როლის შემსრულებელი. 10. კურორტი იმერეთში. 11. ვინ უნდა იყო ლენინისტამდე და სტალინისტამდე? 12. ზედაპირული ცოდნა ანუ? 13. ქალაქი ტაჯიკეთში. 14. ვოლტერის ნამდვილი გვარი. 15. მქსოველი ანუ ვინ? 16. დავა, კამათი ანუ? 17. რუსი ფეხბურთელი, 1960 წლის ევროპის ჩემპიონი. 18. 26 ბაქოელი კომუნისტის ტიტული. 19. ჯარის განლაგება. 20. ოპერა „ფაუსტის“ ავტორი. 21. წიაღისეულით მდიდარი ადგილი. 22. გონებრივი ანუ როგორი? 23. ძველბერძენი პოეტი ქალი. 24. ქალაქი ვენესუელაში. 25. იტალიელი კინომსახიობი ქალი. 26. რაიმე ქმედება ზოგადად. 27. იაპონური „ყვითელი“ გენერატორი.








# აფორიზმები

1. თუ ბრძნული საქმის ჩადენა გსურს, გამოათქმევინე აზრი ქალს, კარგად მოუსმინე მას და... ყველაფერი გააკეთე უკუღმა.

**ჰარუნ-არ-რაშიდი**

2. ღამე ბრწყინვალებას ანიჭებს მხოლოდ ვარსკვლავებს და ქალებს.

**ჯორჯ ბაირონი**

3. ქალს ფრთხილად მოეპყარით! იგი მრუდე ნეკნისაგანაა შექმნილი. თვით ღმერთმაც ვერ შეძლო მისთვის სწორი მასალა მოეძებნა. თუ ამ ნეკნის გასწორებას ისურვებ, გატეხავ, თავს მიანებებ და უფრო გამრუდდება.

**იოჰან-ვოლფგანგ გოეთე**

4. ქალი, რომელსაც ძალიან ჭკვიანურად შეუძლია მართოს სახელმწიფო, ხვალვე დაგასვამს თავზე ბატონს, რომელსაც ათ ქათამსაც ვერ მიაბარებ მოსავლელად.

**კარდინალი მაზარინი**

5. თუ გსურთ გაიგოთ, რას ფიქრობს ქალი, უყურეთ მას და არ უსმინოთ.

**ოსკარ უაილდი**

6. ჭკვიანი ქალი იგია, ვინც გაგასულელებს.

**პოლ ვალერი**

7. არსებობს ქალის მართვის ორი ხერხი, მაგრამ ეს ხერხები არავინ იცის.

**ფრანკ ჰაბარდი**

8. მხოლოდ ქალს შეუძლია დროებით შეაჩეროს დრო

**იუზეფ ბულატოვიჩი**

9. რას შვება მელა, როცა სურს ჰყავდეს შვილი? იგივეს, რასაც შვება ქალი, როცა სურს ჰქონდეს მელა.

**უცნობი ავტორი**

*ინგლისური ენის შემსწავლელთათვის*



65

William Shakespeare (1564-1616) Sonnets

# უილიამ შექსპირი
## სონეტები

**Since brass, nor stone, nor earth, nor boundless sea,**
**But sad mortality o'er-sways their power,**
**How with this rage shall beauty hold a plea,**
**Whose action is no stronger than a flower?**

**O, how shall summer's honey breath hold out**
**Against the wreckful siege of battering days,**
**When rocks impregnable are not so stout,**
**Nor gates of steel so strong, but Time decays?**

**O fearful meditation! where, alack,**
**Shall Time's best jewel from Time's chest lie hid?**
**Or what strong hand can hold his swift foot back?**
**Or who his spoil of beauty can forbid?**

**O, none, unless this miracle have might,**
**That in black ink my love may still shine bright.**

* * *

(С.Я.Маршак)

Уж если медь, гранит, земля и море
Не устоят, когда придет им срок,
Как может уцелеть, со смертью споря,
Краса твоя - беспомощный цветок?

Как сохранить дыханье розы алой,
Когда осада тяжкая времен
Незыблемые сокрушает скалы
И рушит бронзу статуй и колонн?

О горькое раздумье!.. Где, какое
Для красоты убежище найти?
Как, маятник остановив рукою,
Цвет времени от времени спасти?..

Надежды нет. Но светлый облик милый
Спасут, быть может, черные чернила!

* * *

დროებით შექმნილს დრო არაფერს დატოვებს არსად:
რაგინდ ზღვასა და რაგინდ ხმელეთს, ქვებს და ლითონებს,
და თვით სიტურფეს, უსუსური ყვავილის მსგავსად,
წარმავალობის სამსჯავროსთან დაითითოვებს.

დრო აპრილშიაც შემოდგომის აღსასრულს ხედავს,
სიმწრის ალყაში ჩამოანგრევს ტკბობით ანაგებს,
რაგინდ კლდე იყოს და ფოლადის კვარცხლბეკი ედგას,
ძირს მოუთხრის და საარყოფნოდ გააჩანაგებს.

ამაო ფიქრით ვიხანგრძლივებ ყოფას ამაზრზენს,
დროის ზარდახშას მსურს მოვტაცო შენი მშვენება!
თუ შენი ყოფნით დრო სამყაროს გაალამაზებს,
შენი არყოფნით მის სიხარბეს რა ეშველება?

რადგან ამქვეყნად სხვა სასწაულს ვერაფერს ვპოვებ,
შენს ნათელ სახეს შავი მელნით ნაწერში ვტოვებ.

თარგმნა ალ.ელერდაშვილმა. 18.06.03.

# ფანტაზიორი

*იფიქრეთ მომავალ პარასკევამდე და თუ სურვილი გექნებათ, დაგვირეკეთ – 76-68-02*

1. ცნობილმაამერიკელმა პუბლიცისტმა ვენს პაკარდმა ეს საქმიანობა ასე მოიხსენია:

„ეს არის თავში დამიზნების ხელოვნება, თუმცა სამიზნე ჯიბეა".

**რა იგულისხმება?**

* * *

2. პოპულარულ რუს ტელეწამყვანებს შორის არის ერთი, რომელიც ჟურნალისტებმა ასე მოიხსენიეს:

„ეს კაცი ენციკლოპედიებისა და ლექსიკონების ყველაზე დიდი მარაგის მფლობელია, რაც მას სამსახურეობრივი საქმიანობისათვის სჭირდება".

**ვინ იგულისხმება?**

* * *

3. გამოსვლიდან სულ რაღაც ექვსი თვის განმავლობაში ამ წიგნის დაახლოებით მილიონი ეკზემპლარი გაიყიდა, მის საფუძველზე გადაღებულ ფილმს კი არაერთი „ოსკარი" მიენიჭა. მაგრამ, მიუხედავად ყველა ამ რეგალიისა, ენაკვიმატი კრიტიკოსები ხშირად მას ასე მოიხსენიებენ:

„ეს არის ამბავი დისტროფიული აზროვნების ადამიანების შესახებ"

**რომელი რომანია ეს?**

* * *

4. მარკ ტვენი წერდა:

„მათი სიმბოლო უნდა იყოს გუგული, რომელიც კვერცხებს სხვის ბუდეში დებს, რადგან თავად არ შეუძლია მათი გამოჩეკვა".

**მაშ, რა პროფესიის ადამიანები ჰგვანან გუგულს?**

* * *

5. ეს სიტყვა სპარსულიდან შემოვიდა ჩვენ ენაში, მის შესაბამის საგანს ჩვენც ვიყენებთ, თუმცა შუააზიელები ბევრად უფრო ხშირად ხმარობენ მას. გეტყვით ერთსაც: ამ საგანს შეიძლება დაემგვანოს ჩვენი ჭურჭლის შემადგენელი ნაწილი მასთან გაუფრთხილებელი მოპყრობისას.

**რა სიტყვაა და რა საგანია ეს?**

* * *

6. XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა გიგანტური სპორტული კომპლექსი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა: საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი, კორტები, თურქული აბანო, პალმების ბაღი, მუსიკალური სალონი, რესტორნები, ბარები. მაგრამ სპორტკომპლექსის გახსნიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ ამ დაწესებულებამ შეწყვიტა მომხმარებელთა მიღება...

**სად მდებარეობდა ეს სპორტკომპლექსი?**

* * *

7. ერთმა რუსმა პოეტმა საკუთარ საფლავზე წასაწერად ასეთი სტრიქონები შეთხზა:

"Прохожий, стой, ты грязью
памятник не пачкай.
Любил я красное вино, а
помер (.......)"

**დაასრულეთ ლექსი.**

* * *

8. ფედერიკო ბრაუნს აქვს მოთხრობა სათაურად – „პასუხი" სადაც მოთხრობილია ამბავი იმის შესახებ თუ როგორ შექმნეს მეცნიერებმა გიგანტური ხელოვნური ტვინი და მისი ამოქმედებისთანავე როგორ დაუსვეს მას კითხვა, რომელიც მარადიულად აწუხებს კაცობრიობას. კითხვას ხელოვნურმა ტვინმა ასეთი პასუხი გასცა: „ახლა არსებობს!"

**აღადგინეთ თავად კითხვა.**

* * *

9. ამერიკელმა მსახიობმა ბილი როჯერსმა, რომელიც თავისი ოჯახის დიდი ისტორიითა და წარსულით ამაყობდა, ერთხელ თქვა:

„ჩემი წინაპრები არ იყვნენ იმ გემზე, რომელმაც პირველი ემიგრანტები ჩამოიყვანა ევროპიდან ამერიკაში; ჩემი წინაპრები იყვნენ მათ შორის, ვინც...

**დაასრულეთ აზრი.**

* * *

10. ლეგენდის თანახმად ჩინეთის იმპერატორმა უ-დიმ მოიპოვა ღვინო, რასაც იგი უკვდავების ელექსირს უწოდებდა. მისი სამეფო კარის ერთმა დიდგვაროვანმა ჩუმად მოახერხა ამ ღვინის გასინჯვა. იგი მხილებულ იქნა დანაშაულში და მიესაჯა სიკვდილი, მაგრამ დიდგვაროვანმა გონიერი არგუმენტის წყალობით შეძლო თავის გადარჩენა.

**რა არგუმენტით გადაირჩინა თავი სიკვდილმისჯილმა დიდგვაროვანმა?**

## *ამბავი ერთი სიყვარულისა*

# ოლგა ხოხლოვა პაბლო პიკასო



Pაბლო პიკასომ ბალერინა ოლგა ხოხლოვა 1917 წლის გაზაფხულზე გაიცნო, რომში. იმ დროისათვის ხოხლოვა უკვე მეხუთე წელი იყო, რაც სერგეი დიაგილევის „რუსული ბალეტის“ სახელგანთქმულ დასში ირიცხებოდა. იგი მონდომებული და დისციპლინირებული მოცეკვავე გახლდათ, გააჩნდა კარგი ტექნიკა, მშვენივრად გამოიყურებოდა სცენაზე, თუმცა არასოდეს ყოფილა „პრიმაბალერინა“ და, თუ არ ჩავთვლით რამოდენიმე სოლო პარტიას, ძირითადად კორდებალეტში ცეკვავდა.

ოლგა 1891 წლის 17 ივნისს დაიბადა უკრაინის ქალაქ ნეჟინში, იმპერატორის არმიის რუსი პოლკოვნიკის ოჯახში. ოლგამ საბალეტო სკოლაში სიარული მშობლების სურვილის წინააღმდეგ დაიწყო. დიაგილევს კი მის მიმართ თავიდანვე კარგი დამოკიდებულება ჰქონდა, რადგან ამ უკანასკნელს საერთოდ წესად ჰქონდა, რომ თავის დასში „კარგი ოჯახის შვილები“ ჩაერიცხა. ვერც გარეგნობას დაუწუნებდნენ ოლგას, დაწყობილი სახე და სწორი ნაკვთები მის იერს მიმზიდველს ხდიდა, თუმცა, თუ ფოტოების მიხედვით ვიმსჯელებთ, მზეთუნახავს ნამდვილად ვერ უწოდებდით - მას უფრო „დახვეწილი“ მოუხდებოდა ეპითეტად, თუმცა კარგი მანერებით გამოირჩეოდა და გააჩნდა ის რუსული „შარმი“, რაც ყოველთვის მოსაწონი იყო ევროპისათვის. ხასიათი კი ნამდვილიად მტკიცე და ურყევი ჰქონდა, არანაირ კომპრომისს არ ცნობდა და სიჯიუტითაც კი იყო დაავადებული.

* * *

იმხანად პაბლო პიკასო მთელ ევროპაში სახელგანთქმული მხატვარი იყო. ერთ-ერთი პირველნი, ვინც პიკასოს შემოქმედება აღიარა, რუსი ფილოსოფოსები იყვნენ. ჯერ კიდევ 1914 წელს მისი შემოქმედების შესანიშნავი ანალიზი ნიკოლაი ბერდიაევმა გააკეთა. იმავე წელს ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა რუსმა ხელოვნებათმცოდნემ იაკობ ტუგენდჰოლდმა დაახასიათა რა დიდი ესპანელი მხატვრის ნამუშევრები, ხაზგასმით აღნიშნა მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ტრაგიკული საწყისი და მას აბსოლუტის მაძიებელი მოხეტიალე რაინდი, „ფერწერის დონ კიხოტი“ უწოდა. სერჟ დიაგილევმაც, რომელსაც შეეძლო თავისი ბალეტის რუსულ სეზონებზე სამუშაოდ ყველაზე სახელოვანი ადამიანები მიეწვია, აღიარა პიკასო და პირველად მოუხმო ერთ-ერთი სპექტაკლის გასაფორმებლად.

„მე სამოცი მოცეკვავე მყავს - სიამაყით განუცხადა მხატვარმა ინტერვიუში ამერიკელ მწერალ ჰერტრუდა სტაინს - დასაძინებლად გვიან ვწვები. ახლა რომის ყველაზე ლამაზი ქალები ჩემს თვალწინ ტრიალებენ...“ თუმცა ოლგა ხოხლოვას შესახებ კრინტიც არ დაუძრავს.

„მაინც როგორ მოხდა - გაოგნებულნი მსჯელობდნენ პაბლოს მეგობრები - რომ ამ დაუდეგარ კაცს რუსი ბალერინა შეუყვარდა?!“

ეს უკანასკნელი კი (ბალერინაზე მოგახსენებთ), მათი აზრით, დიდი ვერაფერი პიროვნული ღირსებებით გამოირჩეოდა. პიკასო, რომელსაც მაშინდელ პარიზში მეტად ხმაურიანი და სკანდალური რეპუტაციაც კი გააჩნდა, იმხანად უკვე 36 წლის იყო. შესაძლოა, რომ სიყვარულის ანბანის კარგ მცოდნეს, მაგრამ ადამიანურ ურთიერთობებში ნაკლებად გარკვეულ ხელოვანს სწორედ ოლგას ჩვეულებრივობა და, შეიძლება ითქვას, ყოფითობა მოეწონა ან „ეგზოტიკად“ ჩათვალა?! გარდა ამისა, მაშინ პიკასო უკვე გადაღლილი იყო დაუსრულებელი შემოქმედებითი ძიებებისგან და სულიერ მარტოობას განიცდიდა. იგი ოლგაში სიმშვიდის ოაზისს, ნავთსაყუდელს დაეძებდა, სადაც შეეძლო დაესვენა და მცირე ხნით მაინც დაშორებოდა იმ შემოქმედებითი ვნებათაღელვისაგან, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე აიძულებდა მას სულ ახალი და ახალი ფორმების ძიებას ფერწერაში.

არცთუ უმნიშვნელო იყო ის ფაქტიც, რომ ოლგა რუსი გახლდათ. იმ პერიოდში პიკასოს, ხელოვნების დიდ რევოლუციონერს, ძალზედ იზიდავდა და აინტერესებდა ყველაფერი რუსული, იგი იმასაც კი ცდილობდა, რომ ამ იდუმალებით მოცული ქვეყნის ენა შეესწავლა. გამუდმებით ადევნებდა თვალს გაზეთებს და კარგად ერკვეოდა მაშინდელ რუსეთში მიმდინარე მოვლენებში და პირველ რიგში თებერვლის რევოლუციასთან დაკავშირებულ ამბებში. შესაძლოა, ამ ამბების ფონზე რუსი ბალერინა მეტად რომანტიულ-რევოლუციურ იმიჯსაც ქმნიდა.



და ბოლოს: პიკასოს შეხედულებებზე დიდად ზემოქმედებდა თავად „რუსული ბალეტი“, რომელიც განსაკუთრებული გრძნობიერებით გამოირჩეოდა, მეგობრობა დიაგილევთან და სტრავინსკისთან, რომლის შემოქმედებითაც აღფრთოვანებული იყო პიკასო და იმითაც, რომ რუსი კომპოზიტორი ყველასაგან გამოირჩეოდა თავისი მანერებითა და ჩაცმულობით.

* * *

პიკასოს ძალზედ მალე დაახვია სიყვარულმა თავბრუ და, როგორც მას სჩვეოდა, მთელი ტემპერამენტით მიენდო ამ გრძნობას. „ფრთხილად!- აფრთხილებდა მას დიაგლევი - თუ რუსი ქალი შეგიყვარდა, უნდა იქორწინო კიდეც მასზე“.

„ხუმრობთ?!“ - ირონიულად პასუხობდა მხატვარი, რომელიც თვლიდა, რომ ნებისმიერ სიტუაციაში იგი ფლობს საკუთარ თავსა და გრძნობებს.

ბალეტის მსახიობები რომში სასტუმრო „მინერვაში“ ცხოვრობდნენ, ხოლო პიკასო, დიაგილევი, კოქტო და კომპოზიტორი მიასნი, რომელთანაც დიდი მეგობრობა აკავშირებდა მხატვარს, სასტუმრო „როსიაში“ დაბინავდნენ. პიკასო ოლგას ყოველდღე ხვდებოდა. ისინი ხანგრძლივად დასეირნობდნენ „მარადიული ქალაქის“ ქუჩებსა და მუზეუმებში, მაგრამ ბალერინა არ ჩქარობდა საპასუხო გრძნობა გამოემჟღავნებინა პატარა ბიჭივით შეყვარებული მხატვრის მიმართ.

ოლგას მოსწონდა პიკასო. საერთოდ ქალებს იზიდავდა ამ კაცის განსაკუთრებული მაგნეტიზმი, შინაგანი ცეცხლი, მისი შავი თვალების გამოხედვა, რომლებიც, პოეტ ჟან კოქტოს თქმით, „ელექტრობით იყო დამუხტული“. მიუხედავად იმისა, რომ ოლგას ნაკლებად აინტერესებდა სახვითი ხელოვნება, პიკასოს დიდებამ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამასთანავე მას კარგად ესმოდა, რომ საბალეტო კარიერაში მეტს ვეღარაფერს მიაღწევდა და დრო იყო, ოჯახური კერის შექმნაზე ეზრუნა.

„მაგრამ იქნებოდა კი ასეთი ბოჰემური წარსულის მქონე პიკასო კარგი ქმარი?! შეძლებდა ეს თავქარიანი ესპანელი მხატვარი სერიოზული ადამიანის სახის მიღებას?“ - სწორედ ამ კითხვებით არ ასვენებდა დიაგილევს ოლგას დედა, რომელსაც აცნობეს, რომ მისი ქალიშვილი მავანი ცნობილი ესპანელის ცოლობას აპირებდა.

* * *

ასეა თუ ისე, 1917 წლის მაისში პარიზის საბალეტო თეატრში პიკასოს მიერ გაფორმებული სპექტაკლის პრემიერა შედგა, თუმცა უნდა ითვას, რომ ამ სპექტაკლის პირველი ჩვენებისათვის ნამდვილად არ არსებობდა არც ტერიტორიული და არც ქრონოლოგიური ხელშემწყობი პირობები, რადგან პარიზიდან სულ რაღაც 260 კილომეტრის დაშორებით საფრანგეთის არმია გააფთრებით იბრძოდა გერმანელი აგრესორების წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, სპექტაკლის პრემიერას პარიზის მთელი ელიტა დაესწრო, რადგან მასზე დიაგილევის სახელი ანდამატივით მოქმედებდა. ბალეტი, რომელიც, ილია ერენბურგის თქმით, „ქალაქის მოედანზე მოწყობილ ბერიკაობასა და სახიობას უფრო ჰგავდა სკომოროხებითა და ცხენებით“, სკანდალით დასრულდა - პუბლიკამ არ მიიღო ის და ატეხა ყვირილი - „სიკვდილი რუსებს!“

ასეთ მიღებას დიაგილევი არ შეუშინებია და თავისი დასი ახალი სპექტაკლით მადრიდსა და ბარსელონაში წაიყვანა. ბალეტსა და ოლგას, რა თქმა უნდა, პიკასოც გაჰყვა თან.

იმხანად პიკასო გატაცებით ხატავდა საყვარელი ქალის პორტრეტებს და განსაკუთრებული რეალისტური სტილით გამოირჩეოდა, რაც ოლგას დაჟინებული თხოვნით ხდებოდა, რომელსაც არ უყვარდა მისთვის გაუგებარი ფერწერული ექსპერიმენტები. „ნახატზე მე ჩემი სახის ცნობა მინდაო“ - ეუბნებოდა ოლგა ხოხლოვა პაბლო პიკასოს.

*(გაგრძელება შემდეგ ნომერში)*

# იტალ-იური კროს-ვორდი

**ვერტიკალურად:**

| სვეტი | ზედა შეკითხვა | ქვედა შეკითხვა |
|---|---|---|
| 1 | საფრანგეთის ისტორიული ოლქი 7 | |
| 2 | ქალაქი აფხაზეთში 5 | ჭურჭელი 4 |
| 3 | საკუთარ სახელთა ერთობლიობა 10 | |
| 4 | (....) ქუთათელაძე ჩვენი ფიზიკოსი 6 | ისტორიის მუზა 4 |
| 5 | სრული მიბაძვა 8 | მდინარე ბელგიაში 5 |
| 6 | რემბრანდტის ქმნილება 5 | ყველაზე ცნობილი თოჯინას სახელი 5 |
| 7 | ციყვისებრი მღრღნელი 4; იგივე ბარძაყი 5 | ძველი სახელმწიფო 6 |
| 8 | დედამიწის ზედაპირი 7 | „ჩაძირული“ კონტინენტი 9 |
| 9 | ფართ. საზომი ერთეული 4; ქალი 5 | გამბედაობა 5 |
| 10 | (....) ტასმანი 4 | სარეცხი ფხვნილი 4 |
| 11 | მიმართვა გოგონასადმი 3; (...) აქვინელი 4 | ჰოლანდიელი ფეხბურთელი 5 |
| 12 | ფუტკარა, ბალახოვანი მცენარე 10 | ქალაქის ტიპის პატარა დასახლება 4 |
| 13 | (....) ონო 4 | რიტმული ტანვარჯიში 8 |
| 14 | დიდი ინგლ. ბუნებისმეტყველი 7 | (....) ელიავა 3 |
| 15 | ხორცის პროდუქტი 6 | ისლამის მიმდინარეობა 6 |



**ჰორიზონტალურად:**

| სტრიქონი | შეკითხვა | შეკითხვა |
|---|---|---|
| 1 | პატარძლის მაყარი ქალი 5 | |
| 2 | კაცის საზეიმო სამოსი 5 | |
| 3 | ჩვენი „ცენტრალური“ ქალაქი 4 | |
| 4 | ხეობა ყაზბეგის რაიონში 7 | |
| 5 | სამი კაცი 4 | |
| 6 | საფრანგეთის უგრძესი მდინარე 5 | |
| 7 | აქლემების „ესკორტი“ 8 | (....) კეროლი 4 |
| 8 | სამოთხის ბაღი 5 | |
| 9 | სპორტ. სირბილი 5 | თბილისის ძველი სახელი 7 |
| 10 | უცნაური მოვლენა 8 | თბილისის ტაძარი 5 |
| 11 | რაჭის ქალაქი 3 | |
| 12 | ზეთისებრი სამკურნალო ნივთიერება განამარხებული თევზებისგან 7 | |
| 13 | საფეხურეობრივი გადასვლა 8 | |
| 14 | საქალაქო ტრანსპორტი 7 | |
| 15 | ჩათვლის წიგნაკი 9 | |
| 16 | რა არის ნეგროიდული? 4 | პარიზის აეროპორტი 4 |
| 17 | თხელი გამყოფი ქსოვილი 4 | ფულის სახლი 5 |
| 18 | (....) პინგისი 7 | |
| 19 | ბანქო 5 | სასწრაფო დახმარება 4 |
| 20 | ობობას ქსელი 8 | ცუდი თვისება, დეფექტი 5 |
| 21 | (....)-პარი 3 | ყაზახი მწერალი 4 |
| 22 | ხის ჩასაბერი მუს. ინსტრუმენტი 5 | სოხუმი აფხაზურად 4 |

# თავსატეხი

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | | 24 | 17 | 5 | 15 | 8 | |
| 5 | | 16 | | 8 | | 21 | | | | 9 | | 30 |
| 15 | 5 | 9 | 5 | 33 | 12 | 33 | 8 | | 13 | 3 | 14 | 8 |
| 29 | | 23 | | 5 | | 12 | | 21 | | 25 | | 27 |
| 5 | 9 | 17 | 8 | | 11 | 27 | 3 | 4 | 9 | 12 | 20 | 5 |
| 8 | | 16 | | 30 | | 8 | | 5 | | 1 | | 8 |
| 14 | 5 | 19 | 8 | 31 | 5 | | 7 | 9 | 5 | 25 | 8 | |
| 8 | | 8 | | 18 | | 5 | | 8 | | 3 | | 30 |
| | 12 | 2 | 25 | 5 | 30 | 15 | 8 | | 6 | 9 | 13 | 5 |
| 28 | | 8 | | 20 | | 8 | | 5 | | 8 | | 1 |
| 5 | | | 12 | 19 | 8 | 2 | 12 | 33 | 8 | | | 8 |
| 9 | | 5 | | 12 | | 8 | | 22 | | 10 | | 19 |
| 29 | 12 | 29 | 5 | 33 | 8 | | 1 | 8 | 30 | 12 | 9 | 5 |
| 5 | | 12 | | 8 | | 26 | | 9 | | 9 | | 11 |
| 27 | 5 | 15 | 8 | | 30 | 12 | 32 | 12 | 20 | 5 | 9 | 8 |
| 8 | | 25 | | | | 21 | | 33 | | 13 | | 5 |
| | 1 | 8 | 30 | 8 | 5 | | 26 | 8 | 26 | 8 | 5 | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ | ზ | თ | ი | კ | ლ |
| 5 | | | | | 4 | | | | | |
| მ | ნ | ო | პ | ჟ | რ | ს | ტ | უ | ფ | ქ |
| | | 3 | | | 2 | | | | | 1 |
| ღ | ყ | შ | ჩ | ც | ძ | წ | ჭ | ხ | ჯ | ჰ |
| | | | | | | | | | | |

# იაპონური ნახატი

Column clues (left to right, top to bottom):

| Column | Clues |
|---|---|
| 1 | 8 |
| 2 | 9 |
| 3 | 10 |
| 4 | 1 6 |
| 5 | 1 10 |
| 6 | 1 3 12 |
| 7 | 12 3 7 |
| 8 | 1 5 9 1 1 1 1 |
| 9 | 13 2 1 5 |
| 10 | 8 1 1 2 1 5 |
| 11 | 1 7 1 2 1 1 1 1 |
| 12 | 1 3 1 1 3 1 5 |
| 13 | 9 7 1 1 |
| 14 | 15 2 5 |
| 15 | 5 1 3 2 |
| 16 | 2 4 1 4 |
| 17 | 2 1 7 |
| 18 | 2 8 |
| 19 | 10 |
| 20 | 9 |

Row clues (top to bottom):

| Row | Clues |
|---|---|
| 1 | 8 |
| 2 | 1 2 2 |
| 3 | 4 2 |
| 4 | 4 2 |
| 5 | 8 |
| 6 | 15 |
| 7 | 12 |
| 8 | 2 3 3 |
| 9 | 4 5 |
| 10 | 4 1 2 |
| 11 | 5 2 |
| 12 | 3 2 |
| 13 | 9 |
| 14 | 3 2 3 |
| 15 | 3 3 1 1 |
| 16 | 11 2 2 |
| 17 | 5 6 1 3 |
| 18 | 6 2 3 |
| 19 | 14 4 |
| 20 | 7 6 |
| 21 | 15 4 |
| 22 | 3 3 2 1 1 2 2 |
| 23 | 3 8 1 2 2 |
| 24 | 3 3 2 1 1 2 2 |
| 25 | 3 8 1 2 2 |

# გასული 279-ე ნომრის პასუხები

**მესამე გვერდი**

თარაზულად: 4. ტოსკანა. 10. ლივანოვი. 11. მერსიე. 12. ტამპერე. 13. ალმავივა. 14. რომანი. 15. ნიუტონი. 16. ანტონოვი. 17. გინესი. 18. აკიჰიტო. 22. პირანია. 26. სეპია. 29. რინოლოგია. 30. ლანთანი. 31. ხორგო. 32. გოია. 33. ენია. 34. ტულიარა. 36. ლეიკო. 37. ტრაპატონი. 38. ავოკადო. 42. ნუარე. 43. დინამიტი. 47. ფრეილინა. 48. ნიჭი. 50. ნეკროფილი. 51. მისტერია. 52. შატო. 53. ეპითალამა.

შვეულად: 1. კიპლინგი. 2. შარაპოვა. 3. მონიტორი. 4. ტიტანია. 5. სამსუნი. 6. აცეტონი. 7. ამერიგო. 8. ბრამანტე. 9. პიანისტი. 19. კანდიდატი. 20. ჰოლი. 21. ტაგანროგი. 22. პალიტრა. 23. რონალდო. 24. ნიაგარა. 25. არიგატო. 26. სახალინი. 27. პარტიზანი. 28. აპოლოგეტი. 35. ღალა. 39. ვარძია. 40. კრინტი. 41. დღიური. 43. დანაე. 44. ნუკრი. 45. მიომა. 46. ტაიგა. 48. ნიშა. 49. ჭოტი.

**ფანტაზიორი. მე-6 გვერდი**

1. თენგიზ კიტოვანი (პირველი - ეკვადორის დედაქალაქი „კიტო“, მეორე - ჩვენი დაბა „ვანი“). 2. ორთოგრაფიული შეცდომა. 3. პირველი - ბიზნესი, მეორე - რეკლამა. 4. აფციაური და ჩოხელი. 5. მათ დაეჯახათ როლს-როისის მარკის ავტომობილი (როლს-როისის კაპოტის შემამკობელი ქალის სტატუეტის შესაქმნელად სწორედ მისის ტორნტონის პოზირებდა). 6. ხატია რომანიდან „მე ვხედავ მზეს“ (ყველა ჩამოთვლილთაგანი უსინათლოა). 7. „...პირველი ლედი“. 8. ვაჟის ჩასახვაზე. 9. „კაპიტალი“. 11. მედუზები. 12. 1997 წელს მხოლოდ ამ ქალაქებში ცხოვრობდა 10 მილიონ ადამიანზე მეტი.

**მეშვიდე გვერდი**

*თარაზულად*: 1. ფაროსი. 4. ველასკესი. 8. დიუმა. 14. ლამპიონი. 15. ენდოკრინოლოგია. 17. ვინჩესტერი. 18. სინატრა. 19. ოლბი. 22. ნილოსი. 23. ტურანდოტი. 24. სეხნია. 27. ინტერიერი. 28. ინსაიდი. 32. ვერე. 33. ფრაგონარი. 34. ათანასე. 38. ლინკოლნი. 39. ათელსტანი. 40. ფსტა. 43. ვლადიმირი. 44. სტეპანაკერტი. 47. მანტია. 48. პროკურორი. 49. ბერნსი. 52. ონორე. 53. ხოტბა. 54. გალია. 59. აურა. 60. ტიბალტი. 61. სტანდარტი. 65. ილიონი. 66. მარქენალი. 67. გიორგი.70. ნიკოლაევი. 71. კრონინი. 72. ადიუ. 76. დესაი. 77. კონსორციუმი. 81. პარლამენტარი. 82. ადაფაზარი. 85. სტიქია. 86. შტრაუსი. 87. ანენკოვი. 88. ფორინტი. 89. სილუეტი. 90. ბალადა.

*შვეულად*: 1. ფალავანდიშვილი. 2. რუმინელი. 3. სტივენსონი. 5. აგნი. 6. კლოტილდა. 7. სერპანტინი. 9. იელი. 10. მაგელანი. 11. ანეტო. 12. წნორი. 13. სანიტარია. 16. ბრაუნინგი. 20. მაგრანეთი. 21. ლეიდენი. 25. მეტრონომი. 26. პართენონი. 29. ფრანკლინი. 30. პროლეტარებო. 31. ესკადრონი. 35. მონდრიანი. 36. სტოპერი. 37. ბასილისკო. 41. ბრერა. 42. აკრედიტაცია. 45. ამპუტაცია. 46. აკროსტიქი. 50. ურმია. 51. ყაენი. 55. არმინია. 56. ბარაევი. 57. სტალინგრადი. 58. ოტარიდი. 62. ინდომეტაცინი. 63. ანდრესი. 64. პირუეტი. 68. ფარადეი. 69. ანტისფენი. 73. ლამპასი. 74. კოტრიალი. 75. ამაზონკა. 78. არქიფო. 79. შტატი. 80. ღრეობა. 83. ფსოუ. 84. ცილა.

**მეცხრე გვერდი**

**მარცხნიდან მარჯვნივ**: 7. ჰოლი. 9. ინტიმური. 10. კობო. 11. ალენ. 12. ასე. 14. ლიმონი. 15. ჩარირამა. 17. ნირო. 18. დებიტორი. 19. ვანდალები. 22. სუმო. 25. ტიტანი. 28. დასენი. 33. წერო. 35. არნო. 37. ლავაში. 39. ჭიპი. 40. ალა. 42. ბახ. 50. ვასილისა. 52. სნაიპერი. 60. თვე. 62. სოდა. 67. მატენადარანი. 70. ლი. 71. სიგურიონსონი.

**მარჯვნიდან მარცხნივ**: 13. ესა. 21. პრადო. 32. თომა. 34. ჩინი. 38. ვარიანტი. 55. საბურთალო. 57. დაკა. 59. ლაიმა. 61. ყალა. 64. ლარი. 65. ტომ. 68. ოვერტაიმი. 69. ბადე.

**ზემოდან ქვემოთ**: 1. ჰოლივუდელი. 2. ლომონოსოვი. 3. ინჩიბინჩი. 4. ტარო. 5. მერიდიანი. 6. რომარიო. 8. ანდა. 16. ბეტ. 20. ათანასე. 23. ნიშა. 26. მორფი. 27. თავლა. 31. რახი. 36. ტბა. 41. ქირა. 43. ვის. 44. ლია. 45. სკა. 46. სლალომი. 48. ნამატი. 49. პულსარი. 51. რანდევუ. 53. კორადო. 54. დელიბი. 56. ვიდეო. 63. მტს.

**ქვემოდან ზემოთ**: 24. ლეილი. 29. ტიტა. 30. ნორისი. 47. პარამარიბო. 58. ბერლინი. 66. ყითა. 72. ლიმა. 73. გეტო. 74. რონა. 75. სერი. 76. ნანა.

**ფანტაზიის პირისპირ. მე-9 გვერდი**

1. ვილჰელმ კონრად რენტგენი. 2. შოთა მანაგაძე. 3. მარიჯან. 4. ვასილი სურიკოვი. 5. ჩარლზ დიკენსი. 6. სოხუმში. 7. უნგრეთში. 8. ხუთი. 9. მედიანა. 10. ბელეროფონტმა. 11. ლიუბეკში. 12. 1776 წლის 4 ივლისს. 13 პავლე I. 14. 15. 40. ნინო სალუქვაძე. 16. ნაღვლის ბუშტის. 17. იაპონიის. 18. ანუბისი. 19. მასაჩუსეტში. 20. „ერთობის“. 21. ხუთი. 22. ინდოეთის ოკეანეში. 23. რომულუსი. 24. გაეტანო დონიცეტი. 25. იტალიაში.

**ამავე ნომრის მე-2 გვერდი რეიტინგის პასუხები.**

1. კაპარჭი. 2. აპკი. 3. ჭური. 4. აკუშერი. 5. კონსენსუსი. 6. რაიანი. 7. კასპაროვი. 8. ძმანო. 9. მოტივაცია. 10. აპკი. 11. ხრამუნი. 12. ჭიგო. 13. ოპალი. 14. ხვატი. 15. პეტიპა. 16. ინტერვენტი. 17. გრაფიკა. 18. ულტრა. 19. ფსიტი. 20. ინკუბატორი. 21. ანევრიზმი. 22. პროგრესული. 23. ვონა. 24. სფინქსი. 25. გრეი. 26. ანეტო. 27. ხორცი. 28. კურნიკოვა. 29. გონგი. 30. ტაქსა. 31. ბარკლი. 32. ბიშოპი. 33. ამარტი. 34. მისაქციელი. 35. ქუჩი. 36. სტოპ. 37. ჩუჩმეკი. 38. კურო. 39. წიფურია. 40. მიჩურინი.

# ამერიკული კროსვორდი

ასეთ კროსვორდი იმითაა კარგი, რომ შესავსებ უჯრებში არც ციფრი და არც ისარი ხელს არ გვიშლის

**Column clues (upper row):**

- საბუდარელი უშანგის გვარი
- მსახიობი ....წუწუნავა
- ქვის სასროლი იარაღი
- თბილისის სასტუმრო
- ჩვენი დიდი მსახიობი
- ქალაქი ნორვეგიის სამხრ. ნაწილში
- ჩვენი ანა
- საწარმო
- ფასებს არეგულირებს

**Column clues (lower row):**

- სქელი უხეში ქსოვილი
- ბურატინოს წინაპარი
- თოფის სახესხვაობა
- ზოგი ავტომანქანის მინები ასეთია
- ქალაქი ტაშკენტის ოლქში
- იხლე ფოტო და შეაფასე ეს მზერა
- (.....) ლიტმანენი
- ღვარძლის სათავე
- შალვა მოკლედ
- პოლონეთის მდინარე
- სოსოიას მეგობარი
- მსახიობი ზელიონაია
- მსახიობი გაბუნია
- ირანის დეპეშათა სააგენტო
- პატარა ძაღლი

**Row clues:**

- „თეთრ პელედ“ წოდებული ბრაზილ. ფეხბურთელი
- ხშირი, ხუჭუჭა თმა... როგორი?
- ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი
- გაუაზრებელი ლაპარაკი
- შალაშინის სახესხვაობა
- ფრანგი მსახიობი, ჟული....
- ომში მოპოვებული ნადავლი
- გლოვის სამოსი
- ქიმია — თავისი არსით
- განგსტრების ქალაქი
- „...... მოვიდა შატილსა“
- (.....) გრეი | XVIII ს ხელოვნ. სტილი
- „მთვარის სპეკალის“ ავტორი – (.....) კოლინზი
- ფრანგი ფეხბურთელი, მარსელ...
- დიდი მადლობა მერსი..... | თოვლზე სიარულის ხმა
- XX ს ირანელი მწერალი ბოზორგ.....
- ჭრიჭინა | „შაგრენის (რა?“
- „წყნარ დონში“ თამაშობს (გრ.მელიხოვი)
- კამიუს ერქვა | ინგლისური საზომი
- სიყვარულის ნამოქმედარი გულზე
- იუპიტერის მეუღლე | (......) დემონჟო
- ალკოჰოლური სასმელის მისაღები პროდუქტი

